წელიწადი მე-3

ტელეფონი № 76.

სამშობლო

პარასკევი 31 მარტი 1917 წ. 13

გაზეთის ფასი:
წლიურად. . . 15 მან.
ნახევარი წლით . 8 მან.
თვიურათ . 1 მან. და 50 კ.
ცალკე ნუმერი შვიდი კაპ.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5 მ. სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მ. და დანარჩენიც სექტემბრის პირველამდე.

განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტ[illegible] 25 კ.
უკანასკნელ გვერდზე . 15 კ.
ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორათ
სამგლოვიარო განცხადების დაბეჭვდა თითოჯერ არა უმეტეს სამ [გამომცხადებლისა, ნაშუადღევის 2 საათ. 5 მ.
2 საათის შემდეგ . . 6 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქ. ქნ. ს. ნ. მიქელაძის სახლში.

№ 583 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. № 583

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ

პარტიის მთავარი კომიტეტი მოუწოდებს პარტიის ყველა წევრებს მცკიცედ შეჰკრან კავშირი პროვინციაში—როგორც ქალაქებში, ისე სოფლად.

მამულიშვილნო!

დღევანდელი მომენტი განსაკუთრებულს ხარჯებს ითხოვს. შემოიტანეთ თქვენი წვლილი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისათვის, შემოწირულება მიიღება „სამშობლოს" რედაქციის კანტორაში.

ნიკიფორე ბესარიონის ძე ენუქიძე და ლეონტი ივანეს ძე პეტრიაშვილი ამით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობ-მეგობართ, რომ 6 აპრილს სოფ. წკადისში გარდახდილ იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის პირველის დაუვიწყარ მეუღლის და მეორის შვილის

ეფროსინას (დუხიას)

სულის მოსახსენებლად.

ალექსანდრა (იგივე საშა) ივანეს ასული [illegible], [illegible] ნესტორ [illegible] ასული და მარო და ვანიკო დათუნაშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართა და ნაცნობთ პირველის ძვირფასი დედის, მეორის დაუვიწყარ დედის და მესამეთა საყვარელ ბებიის, როტმისტრ ივანე გეორგობიანის ქვრივის მეუღლის

ნატალია შეჟანის ასულის გეორგობიანის

გარდაცვალებას პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს შვიდის ნახევარ საათზე. გამოსვენება მოხდება 31 მარტს, ნაშუადღევის 4 საათზე, მახვილაძის სახლებიდან. ბალახვანის ქუჩა № 34. დაკრძალვა მოხდება საფიჩხიის სასაფლაოზე.

დასაპატიჟებელი ბარათები არ დაიგზავნება. 598—2-1

დამწუხარებულნი: მეუღლე ბესარიონი, დედამთილი, რძალი, მაზლი და მულები გარდაცვალებულის

მაკიკა ლევანის ასულის ჩხეიძისა

გულითად მადლობას უძღვნიან ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ თანაგრძნობისთვის, რომელთაც ეს პირადათ დასწრებით ან დეპეშა წერილებით გამოგვიცხადა.

ელექტრო „რადიუმ" თეატრი

ორშაბათიდან, 27 მარტიდან საუცხოვო პროგრამა, რომლის შემოსავლიდა ნაწილი ბრძოლის ველზე მყოფთათვის სააღდგომო საჩუქრების დასამზადებლად გადაიდება. **ცდუნების ქალღმერთი** მხატვრ. დრ. 5 ნაწ. გამოჩენილ მსახიობთა ფრანჩესკო ბერტონის მონაწ. პატეს სამხედრო ქრონიკა.

ელექტრო ამპირ თეატრი

ორშაბათიდან, 27 მარტიდან შესანიშნავი სურათი, რომლის შემოსავლიდან ნაწილი ბრძოლის ველზე მყოფთათვის სააღდგომო საჩუქრების დასამზადებლად გადაიდება. **სახელგანთქმულობის მწვერვალზე.** დრამა 6 ნაწ. მოზჟუხინის და ლისენკოს მონაწ. ტიკინების თეატრი კუნძულ საგაზე, სანახაობა.

ხელის მომწერთა საყურადღებოთ

ვინაიდან ახლანდელი მდგომარეობა მოითხოვს განსაკუთრებით ზედმეტ ხარჯებს, რის გამოც გაზეთის გამოცემის საქმე გაძნელებულია, მოვაგონებთ ჩვენს ხელის მომწერლებს, რომ ხელი შეგვიწყონ. ხვედრი ფულის თავთავის დროზე გადახდით. ვინც **მარტის** დამლევამდე ხვედრ ფულს არ წარმოადგენს, **აპრილის პირველიდან** იძულებული ვიქნებით გაზეთის გზავნა შეუწყვიტოთ.

გაზ. „სამშობლოს" კანტორა.

ს. ბუგეულს რაჭის მაზრაშიდ პირველ აპრილიდან

განახლდება

ძმ. წულუკიძეების **გოგირდის აბანოს** მუშაობა. აბანოსთან არის, ცხრა მოწყობილი ოთახი ავათმყოფებისათვის და სუფთა საბანაო თეთრი ქვის ვანები. იქვე იშოვება ყოველგვარი სანოვაგე მიმსვლელ ავათმყოფებისთვის.

ქ. თფილისის სადგურზე სახლისკენ გამომგზავრებისას თვით ვაგონში ფულთან ერთად

დამეკარგა

რამოდენიმე ოფიციალური საბუთები და მათ შორის მუდმივი (ლურჯი) პასპორტიც. უკანასკნელი აღებულ იყო 1901 წელს ქუთაისის სამაზრო სამმართველოში. იგი არავისათვის გამოსადეგი არ იქნება და ჩემთვის-კი აუცილებელია, ამიტომ თუ ვისმე იქ დამსწრეთავანს, ან სხვას პასპორტი შემთხვევით ხელთ ჩაუვარდა, უმორჩილესად ვსთხოვ უმარკოდ მომაწოდოს შემდეგი მისამართით: ст. **Самтреди**. Телеграфисту Н. М. Кахiани, გადმოსაცემად ჩემზე.

პატივისცემით ლევან [illegible] კახიანი

ს. გეგუთში მცხოვრებელს ბაგრატ დათიაშვილს 24 მარტს ღამე

მოჰპარეს ცხენი

თუ ვინმემ იცის, სად იმყოფება იგი უმორჩილესად ვსთხოვ აცნობოს **ქუთაისის პოლიციის გამგეს** ცხენის ნიშნები: შავი ფერი, გაკრეჭილი მარჯვენა ფეხზე—ნატკენი, კუდიც შეკრეჭილი, ტანად სრული. 2—1

ქუთ. სადგ.-მამულო ბანკის მიწის მზომელი და თბილ. სადგ.-მამულო კომისიის მიწის მომწყობი

ვ. ს. ასათიანი

ადგენს მამულების სალიკვიდაციო და მიწის მოსაწყობ პლანებს. შუამავლობს ქართლ კახეთ-აფხაზეთში მიწების შემძენ-გამყიდველთა შორის. მიწის შემძენ ჯგუფთა ამხანაგობებს აძლევს შეღავათიან ტეხნიკურ დახმარებას. ცნობების მიღება შეიძლება ქუთაისში: ა) სადგილ-მამულო ბანკში, ბ) პროვიზორ კაზიანის აფთიაქის მაღაზიაში, ქალ. თეატრის პირდაპირ, გ) ვ. ს. ასათიანის ბინაზე, ი. ჭიჭინაძის ქ. № 8, სახლი რუხაძისა, თბილისში სადგილ-მამულო კომისიაში, თფილ. თავ.-აზ. დეპუტატთა საკრებ. ბინა, ბელინსკის ქ., № 1. ჭიათურაში შავი ქვის მრეწველ ალ. ხაბულიანთან. 9 თ.

დაიმუშავეთ მიწები!

ამბავი მოვიდა, რომ ქვემო იმერეთისა და სამეგრელოს ზოგიერთს სოფელში მიწის მუშებს ხელი აუღიათ მუშაობაზე, არა სთესვენ და არა ხნავენ.

ეს საშინელებაა! განა არა კმარა ის ზარალი, რაც ომმა მოგვიტანა?! და, თუ ამას კიდევ ზედ მოუსავლობა დაერთო, ხომ შიმშილობა ჩამოვარდება?

ძმებო მიწის მუშებო! კმარა ამდენი შეცდომა და თავის მოტყუება! იმუშავეთ! ნუ გჯერათ, რომ უფასოდ ვინმე რასმე მოგცემსთ, ან პურს ან მიწას! მართალია, მომავალი დამფუძნებელი კრება გადასწყვეტს ალბად მიწის საკითხს და შევასყიდვინებსთ მიწებს გრძელვადიანი სესხის საშუალებით. მაგრამ, ჯერ ერთი დიდ მემამულეებს მიწებს უსასყიდლოდ არაოდეს არ ჩამოართმევენ და, მეორე, თუ კი ოდესმე გაკეთდება ეს დიდი საქმე, უეჭველია, ადრე არ იქნება.

სულწასულობა და სულმოკლეობა—მიუტევებელი ცოდვაა, მოითმინეთ და ყველაფერი კეთილად დაბოლოვდება. დღეს კი იმუშავეთ! დასთესეთ და დახანით მიწები, რომ თავი შიმშილისაგან გადაარჩინოთ!

ნუ დაუჯერებთ ჭორებს!

ვასილ წერეთელი.

რედაქციისაგან.

„სამშობლო"-ს ოთხშაბათის 29 მარტის 1917 წლის ნომერში (№ 582) მოთავსებული იყო წერილი სათაურით „დამფუძნებელი კრება თფილისში", რომელსაც ხელს აწერს „Titus".—ამ წერილში უდიერათ მოხსენებულია სოც.-დემოკრატიული პარტია და მისი ბელადები ნოე ჟორდანია და ევგენი გეგეჭკორი.

რედაქცია არ იზიარებს ავტორის აზრს სოც.-დემოკრატიული პარტიის და მისი ბელადების შესახებ და აღიარებს, რომ ავტორმა უსაფუძვლოთ შეურაცხყო, როგორც მთელი სოც.-დემოკრატიული პარტია, ისე მისი ბელადები, და ბოდიშს იხდის მათ წინაშე.

„Titus" წერილი შეცთომით სარედაქციო კოლეგიის განუხილავათ დაიბეჭდა და ამ გარემოებამ გამოიწვია ეს სამწუხარო მოვლენა. რედაქციას კი არასოდეს ეჭვი არ შეუტანია სოც.-დემოკრატიის ბელადების უანგარო მოღვაწეობაში.

ამასთანავე რედაქცია აცხადებს, რომ „Titus"-ს რიცხავს „სამშობლო"-ს თანამშრომელთაგან.

რედაქციის წევრები:
რედაქტორი ვ. წერეთელი.
ალ. გარსევანიშვილი.
ი. ხანანაშვილი.

ავათმყოფი კაცი „ამოქმედდა"

ისეთის სისწრაფით ხდებოდა მცირე აზიის და მესოპოტამიის ასპარეზზე ოსმალთა ჯარის შემუსვრა, რომ ეჭვი არავის ეპარებოდა ოტომანთა იმპერიის დასასრულზე.

მოწინააღმდეგე კოალიციამ ოსმანთა ქვეყანას წესი წინდაწინვე აუგო და მოუკლავი დათვის ტყავი გულ დადებით გაინაწილა. მაგრამ სინამდვილემ სულ სხვა გვამცნო ოსმან-აღას იმპერია ელვის სისწრაფით ამოქმედდა, ამ რამდენიმე დღის წინად სულთანმა ირადე გამოსცა, რომლითაც სამშობლოს გარე მომქმედ ოსმალთა ლაშქარს საკუთარ ბრძოლის ასპარეზებზე იბარებდა. როგორც გამოირკვა რუმინიისა და გალიციის ფრონტებზე მომქმედი ოსმალთა კორპუსები უკვე დაბრუნებულა სამშობლოში და სასწრაფოდ აქტიურ მოქმედებას შესდგომია. ოსმალეთს პირველ რიგზე თავის ძალა რუსეთის წინააღმდეგ მოუმართავს. სპარსეთში დიდი ბრძოლები დაწყებულა, სადაც მტერი წინ წამოწეულა. ოსმალეთის უახლოესი მიზანი იქნება რუსეთის ჯარების შეერთების ხელის შეშლა და ამ ჯარების ცალ ცალკე დაკვრა უნდა იყოს. ყურად საღებია აგრეთვე ის მოვლენა, რომ ოსმალეთის სარდლობამ ბრძოლა სპარსეთით დაიწყო და ალბად ეს იმიტომ რომ სპარსეთიდან უფრო საადვილოა კავკასიის წინააღმდეგ მოქმედება და რუსეთის ჯარის მოწყვდევა. მაგრამ საეჭვოა ამოქმედებულმა ოსმალეთმა ასეთი დიდი მიზანი დაისახოს უახლოს საგნად, რადგან მას ჯერ დაკარგულ მიწაწყლის დაბრუნება სჭირია. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ოსმალთა სამხედრო ძალა ჯერ არ უნდა აღემატებოდეს 200,000 რომელშიაც რეგულიარული 150 ათასზე მეტი არ იქნება. ცხადია ამ ჯარით შეუძლია ერთი მხრივ დაკარგულ ტერიტორიის დაბრუნება და მეორე მხრით დაპყრობაზე გადასვლა. მაგრამ აქ საგულისხმოა, თუ როგორ დადებით დახმარებას გაუწევს მას მოკავშირე გერმანეთი. თქმა არ უნდა როგორც გერმანიისა, ისე ოსმალეთის რუსეთის ასპარეზზე გამოსვლა, რუსეთის შინაურმა პოლიტიკურმა ცვლილებამ გამოიწვია. მოპირდაპირე ფიქრობს ხელსაყრელ დროთი ისარგებლოს და თავის გულის წადილი შეისრულოს. ამ გარემოებას თქმა არ უნდა შესაფერ ანგარიში გაუწევს.

რევოლიუციური მთავრობის, ჯარი, რადგან ბრძოლის ველზე დამარცხება შინაურ დამარცხებას მოასწავებს. ვნახოთ რა სახით დატრიალდება მოსალოდნელი ამბები.

ser

რუსული პრესა.

პროფ. გრედესკული და რუსეთის იდეალი.

„რუსკ. ვოლიას" ფურცლებზე პროფ. გრედესკული სწერს: „ძველი რეჟიმას დარღვევა რუსეთში ბევრჯელ მოიწადინეს. საფრანგეთის რევოლიუციები რუსეთში ყოველთვის თვალსაჩინო გამოძახილს პოულობდა. დეკაბრისტების აჯანყება პირდაპირ საფრანგეთის რევოლიუციის ზეგავლენით მოხდა, მაგრამ სამწუხაროდ იგი უნიადაგო—უნაყოფო გამოდგა, რადგან იგი წმინდა თავადაზნაურული იყო. მასში მასა არ [illegible] მონაწილეობდა. 1905 წ. ამბები ხალხის გულიდან იყო აღმოხეთქილი მაგრამ იგი რეაქციამ დაამხო. დღევანდელი რევოლიუციაც წმინდა სახალხოა, მან უკვე გაიმარჯვა. დღეს ჩვენ თვალ წინ სდგას განახლებული ბორკილებ აყრილი რუსეთი. მისი ხალხი თავგამოდებით იცავს ნეტარ თავისუფლებას. ცარიზმი დამხობილია... ჩვენი იდეალი ხალხოსნური დემოკრატიული რესპუბლიკაა... რასაც რუსეთი კიდეც დაამყარებსო."

უცხოეთის პრესა.

ვენურ გაზ. „არბაიტ" მოთავსებულია ავსტრიის სოციალდემოკრატიის ბელადის ვიქტორ ადლერის სიტყვა რუსეთში მომხდარ პოლიტიკურ ცვლილების შესახებ, რომელიც სხვათა შორის ამბობს:

„რუსეთის რევოლ., სრულებითაც არ არის ინგლისის ვერაგ პოლიტიკის შედეგი, არამედ ის მოახდინა რუსეთის ნამდვილმა რევოლიუციამ ჩვენ ვიბრძოდით რუსეთის ხალხთან ცარიზმის წინააღმდეგ. რომელიც დამხო და ევროპისთვის საფრთხეს აღარ წარმოადგენს, და ჩვენც აწ სოლიდარობას ვიგრძნობთ რუსეთის მიმართ. ბოლოს, როგორც იყო დადგა ჟამი სისხლის ღვრის გათავებისა, ამ შემთხვევაში რუსეთის პროლეტარიატი ჩვენი საუკეთესო მოკავშირეა."

მწარე სინამდვილე.

სამარცხვინო შექმნა საქართველოს ყოფა. ჩვენს სისხლით წერილ ისტორიას არ ახსოვს მაგვარი ყოფნა არ ყოფნის ხანაში ასე გზა აბნეული, უგზოობა და სამშობლოს ინტერესების დავიწყება. მშრომელი ხალხი ასულ...ლებ, ყოველ ერს, გლეხობაა ყველა სახელმწიფოს ძლიერების თუ უძლურების დამცველი... იგი ვერასოდეს ვერ დაივიწყებს თავის ქვეყნის საკეთილდღეოდ ბრძოლას... მას ესმის, გათვალისწინებული აქვს კლასობრივი ბრძოლა, მაგრამ თავის ერის განკითხვის დღეს ყოლაფერს სამშობლოს აწაცვალებს... მისთვის გარეშე სამშობლოისა არაფერი არსებობს.. ქვეყნის კრიტიკულ მომენტში იგი ეურთდება მოწინააღმდეგეს და მტერს შეერთებულის ძალით პასუხს აძლევს მას ვერ ათქმევინებს რომ „პროლეტარიატს სამშობლო არ აქვსო". ასე იქცევა მთელ დედამიწის ზურგზე მცხოვრები მშრომელი ხალხი... მაგრამ ჩვენდა საუბედუროთ ამას ვერ ვხედავთ ბედშავ საქართველოში. დღეს სრულიად ქართველი ერი მთელის შეგნებით არ იბრძვის თავის ქვეყნის თავისუფლებისათვის. ქართველი მშრომელი ხალხი მეტად საზიანოდ იქცევა... ანბანის არ მცოდნე შიშველ ტიტველი გლეხი თავის უახლოეს საჭიროებას ივიწყებს და საერთო საკაცობრიო ' იდეალებისთვის იბრძვის... გუშინ ერთ სოფლელ გლეხს ველაპარაკე. მან სხვათა შორის მითხრა, ნეტა რა სურთ ჩვენში რო ნასტავლები ჩამოდიან და გვიქადაგებენ... ვაი, თუ წინანდებურად მოგვატყუონ... ჩვენი სოფლის ამბავი იმათ რა იციან? იგინი შორიდან გვიყურებენ... ყველას გვიხარია რომ ძველი პოლიცია მოგვიშპეს ახლა შეგვიძლია გაბედულად ვილაპარაკო სიმართლე უწინ ასე იყო სამტრედის პრისტავთან მივიდოდი იგი რუსულად დამიყვირებდა და რადგან მე მისი ლაპარაკი არ მესმოდა, ყველაფერში მე გამამტყუნებდა!.. თუ ყველას თავისუფლებას აძლევენ, ჩვენც გვიშველონ და მოგვაშორონ ისეთი ბატონ პატრონები რომელთაც ჩვენი არაფერი გაეგება.. ჩვენ უნდა გვყავდეს ჩვენ მიერ არჩეული კაცები, ამბობენ მიწებს დავარიგებთო, კაი ეს ბევრს გაუხარდეს, მარა არ მჯერა, რომ შესაძლებელი იქნეს ვინმეს თავის ქონება მუქთად ჩამოერთვას, ყიდვა კი შეიძლება... ჩვენ გზას გვიბნევენ, ის მოვა ასე გვეუბნება, ეს მოვა კიდევ ასე. არ ვიცით რომელს მივცეთ მხარი თუ ვისმეს კეთილი უნდა იგი იმედია არ დაგვატყუებს და მსხვერპლად არ შეგვწირავს... ჩვენ სოციალდემოკრატებმა გვითხრა მუშათა პარტია ვართო, ჩვენც მუშათა პარტია ვართ, მას ვემხრობით, მაგრამ ცოტა ეჭვი გვეპარება, როცა სხვა პარტიები გვიხსნიან, რა სურთ სოციალ-დემოკრატიის პარტიას... ჩვენი პარტია, ჩვენი სოფლის და ქვეყნის სიკეთე მოძალადეებიდან დახსნა, სიღარიბიდან გამოსვლა და სხვა არაფერი... მიმიტოვეთ, თუ ბევრი რამე არა მართალი წამომცდა მაგრამ რა ვქნა, მე უსწავლელი კაცი ვარ და უკეთესად ვერ ვილაპარაკებ.

განა ეს სიტყვები ჩამაფიქრებელი არ არის, მე დარწმუნებული ვარ, რომ ყველა ქართველი სოფლელი ასე აზროვნობს მისი საწადელი მაგვარია, და თუ ამას ვერ ლაპარაკობს მხოლოდ იმიტომ რომ „მოწამლულია" ცუდ მოამაგეთა მიერ.

ქადაგებამ საზიანო ნაყოფი უკვე გამოიღო... ქართველ ხალხს გზა აებნა და იმას ლაპარაკობს, რაც მისი დამღუპველია. ქართველის სიდარბაისლეს. პატიოსნებაც შეირყვნა, ამას გვიჩვენებს ის. რომ კრებებზე ხალხმა აღარ უნდა მოისმინოს ზოგიერთი პარტიების წარმომადგენლის სიტყვა ბიროგორც ცნობები მივიღეთ ქვემო იმერეთსა და სამეგრელოში. ხალხი დარწმუნებულა იმაში, რომ მას ამ მოკლე ხანში უსასყიდლოდ დიდ მამულებს დაურიგებენ ამიტომ იგინი ამ ჟამად არც ხნავენ და არც სთესენ... ამაზე მეტი უბედურება შეიძლება? მთელ საქართველოს სიმშილის სტიქია წალეკავს... ნუ თუ ამ გულ საკლავმა ამბავმა არ უნდა შეაშფოთოს ყველა და გონს არ უნდა მოიყვანოს? მშრომელო ხალხო! შენ ისედაც დიდი მსხვერპლი გაიღე, შენი შვილები ბრძოლის ასპარეზებზეც ბევრი დაემხო... და დღეს კიდევ სიმშილობას სურს შეეწიროს... გონს მოდი, შენ უახლოეს უპირველეს საქმეს შეუდექი... ნუ ჩაიდენ ისეთ საქმეს, რაც შენს წინაპართ თავის დღეში არ უქნია... ნუ აატირებ მცირე წლოვან ბავშვებს... **მოხანი დათესე**... თორემ შემდეგ ბევრს ინანებ. გაორკეცებულად დაიწყეთ ოჯახური შრომა, რადგან თავისუფლების დროსაც აუცილებელია, რომ მშიერი არ იყო და ჯიბეში ორიოდე გროში გედოს... შენი წარმატება, შენი სიღარიბიდან გამოსვლა დამოკიდებულია მხოლოდ შენს პირად შრომაზე... თავისუფლება სასტიკად სჯის, იმათ ვინც სხვის ქონების მისაკუთრებას მოინდომებენ. შენ თუ სამუშაო შინ არ გყოფნის, ეს უნდა განუცხადო სადაც საჭიროა და შენი გულ შემატკივარნი ხელსაყრელ პირობებში გიშოვნიან მიწას... აღარ დააყოვნო, საჩქაროდ მუშაობას შეუდექით!..

ირ—დი

ახალი მთავრობა.

მოქალაქე ტუსაღნი.

კიევი 24 მარტი. ლუკიანოვის საგუბერნიო ციხიდან გამოცვივდა 1000 მეტი ტუსაღი, იარაღი აჰყარეს ზედამხედველებს, ეზოში გამართეს მიტინგი, პროცესიით შემდეგ გაემართნენ ქალაქის გამგეობისკენ, აქ ამოირჩიეს დელეგატები, რომლებიც ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტის წინაშე იშვამდგომლებენ, რომ ტუსაღების მოთხოვნილებანი დააკმაყოფილოს.

მანიფესტანტებმა ტუსაღის ტანისამოსი გაიხადეს, თავისივე ტანისამოსში გამოწყობილნი და იუნკრების გარს შემორტყმულნი უკანვე დაბრუნდნენ; მათმა ორატორებმა სიტყვები წარმოსთქვეს და ბოლოს წყნარად ციხეშივე დაბრუნდნენ.

კავკ. სამოსწავლო ოლქის საქმეები.

თბილისი 25 მარტი. დრ. მთავ. კომისსარების ბრძანებით სამოსწავლო ოლქის საქმეები ოლქის უფროსად ნამყოფ რუდოლფის თანაშემწეს ლოპატინსკის გადაეცემა.

მაზრის უფროსის დატყვევება.

თბილისი 25 მარტი. დატყვევებული ჩამოიყვანეს ახალ ქალაქის მაზრის უფროსი კალინინი, რომელსაც ბოროტმოქმედება ჰბრალდება.

ბერძნები და თავისუფალი რუსეთი.

სოხუმი 26 მარტი. „ბერძენთა პოლიტიკურმა ასოციაციამ მიტინგი გამართა რუსეთში ახალი რეჟიმის დამყარების გამო. ამ ასოციაციის მიერ გამოშვებული ფურცელი ხალხს მოუწოდებს, რომ თავისი აღფრთოვანება მან საქმით გამოხატოს.

პეტროგრადი 27 მარტი. დროებითი მთავრობა არ ეხება ივერიის სამოციქულო ეკლესიის სასულიერო კრებულის ნიერ 12 მარტს მცხეთის კათალიკოსის მეთაურობით ძველ, მართმადიდებელ ქართულ ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის ეკანომიურ მხარეს, მხოლოდ აუცილებლად, მიაჩნია გათვალისწინება იმ უფლებრივ შედეგების, რომელნიც ასეთ აღდგენასთან დაკავშირებულია. დროებითი მთავრობა ავტოკეფალურ ეკლესიას ეროვნულ-ქართულს ხასიათს აკუთვნებს და განსაზღვრულ ტერიტორიაზე მას არ ავიწროებს. მრევლთა ყველა მართმადიდებელი წევრნი და სხვა არა ქართველნი მართმადიდებელ რუსის ეკლესიის გამგებლობის ქვეშ რჩებიან. დროებითი მართველობა უფლებას აძლევს ქართულ ეკლესიას უმოკლეს ხანში შეიმუშაოს რუსეთის სახელმწიფოში თვის მდგომარეობის ძირითადი საფუძველი, რომელიც მან უნ და წარადგინოს დროებით მთავრობის დასამტკიცებლად. ხოლო დროებით ამ საფუძვლის დამტკიცებამდე ახალი მთავრობის მიერ, ყოფილ საქართველოს ეგზარხოსის საეკლესიო დაწესებულებანი ძველ საფუძვლებზე რჩება. საბოლოო დამტკიცება მართმადიდებელ საქართველოს ეკლესიის რუსეთის სახელმწიფოში უფლებრივი მდგომარეობისა შეუძლია დამფუძნებელ კრებას. დროებითი მთავრობა დარწმუნებულია, რომ ეკლესიის მიერ საქართველოს ეკლესიის თვით გამორკვევის დიდებულ აქტის კანონიერ საფუძვლების განმტკიცება მოხდება. საეკლესიო მშვიდობა დროებით მთავრობასთან შეთანხმებით და მასთან ხელიხელ ჩაკიდებული იარონ.

უფროსთა და ჯარის კაცთა ურთიერთობა.

პეტროგრადი. 24 მარტი ჯარისკაცთა დეპუტატების სხდომაზე შემოვიდნენ შავი ზღვის ფლოტის სევასტოპოლის გარნიზონისა და ადგილობრივი მუშათა წარმომადგენელნი, რომელთაც განაცხადეს. ორგანიზაციების მოწოდების მიუხედავად, ორგანიზაციებს ვერ ვხედავთ. ჩვენ ისე ვლაპარაკობთ, თითქოს მშვიდობიანი დრო იყოს. გახსოვდეთ ერთ თვეში დიდი ბრძოლა დაიწყება და მერე რუსეთი ან თავისუფალ ცხოვრებას დაიწყებს, ან მას გერმანელები გათელავენ თუ კარგ დამოკიდებულებას არ დავამყარებთ ოფიცერთა და ჯარისკაცთა შორის. შავი ზღვის ფლოტმა ყოველ გვარი ახალი ზომები მიიღო. ახლა იმედი თქვენზეა დამყარებული. უნდა მოისპოს საუკუნოებრივი უნდობლობა, რომელიც უფროსთა და ჯარისკაცთ ერთად სიარულს ხელს უშლიდა.

ჯარის სამართლიანი მოთხოვნილება.

პეტროგრადი. 24 მარტი. დღეს სათათბიროს ეწვია მოქმედი ჯარის დელეგაცია, რომელმაც მე 15-ე კორპუსის შტაბის ნაწილთა მართველობის ჯარისკაცთა რეზოლიუციაში ნათქვამია: რუსეთის თავისუფლებას სერიოზული საფრთხე ელის შიგნით ანარქისტთა და ძველ რეჟიმის მომხრეთაგან, მაგრამ მეტი საფრთხეა გარედან გერმანელთა მხრით. საჭიროა დროებით მთავრობას სამუშაო შევუსუბუქოთ, ძლიერ გვაღონებს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს მოქმედობა. ის დროებითი მთავრობის დაუკითხავად და მოუწყობლად თვის დადგენილებებს ავრცელებს ჯარში, რაც დიდ უხერხულობას იწვევს ჯარში ოფიცერთა და ჯარისკაცთა შორის და არღვევს დისციპლინას. ჩვენ ყველამ ვიწამეთ დროებითი მთავრობა და შევფიცეთ, რეფორმების მოხდენაში მარტო თქვენ დაგიჯერებთ, ოფიციალურად ვაღიარებთ მხოლოდ ისეთ კანონებს და დადგენილებებს, რომელიც თქვენგან იქნება გამოცემული და არა კერძო საპროფესიო ორგანიზაციათაგანო, რადგან ამ მრავალთა უფროსობას მოჰყვებოდა ყველასათვის ცხადი დამღუპველი შედეგი. დაბეჯითებით ვთხოვთ ამხანაგ მუშებსა და ჯარისკაცთ, ყოველი დადგენილება გაავრცელონ.

პეტროგრ დი 27 მარტი. დროებითი მთავრობა არ ეხება ეკონომიურ მხარეს ძველ მართმადიდებელ ქართულ ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისა მცხეთის კათალიკოსის მეთაურობით, რომელიც აღიარებულია ივერიის სამოციქულო ეკლესიის სასულიერო კრებულის მიერ ამ წლის 12 მარტს.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია.

(პეტ. დეპ. სააგ.)

პეტროგრადი. 27 მარტი. დროებითი მთავრობა არ შეეხო ეკონომიურ მხარეს საქართველოს აღდგენილ მართლმადიდებელ ეკლესიის ავტოკეფალიისას, რომელიც განამტკიცა ივერიის ეკლესის კრებამ მიმდინარე წლის 12 მარტს, და რომლის სათავეშიაც უნდა იდგეს მცხეთის კათალიკოსი.

დროებითი მთავრობა აუცილებელ საჭიროებათ სთვლის აღიაროს ავტოკეფალიის აღდგენასთან დაკავშირებული უფლებრივი შედეგები. ამისათვის დროებითი მთავრობა აღიარებს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობის ქართულ-ეროვნულ ხასიათს და მის მოქმედებას ტერიტორიით არა საზღვრავს.

მართლმადიდებელ რუსების და სხვა არა ქართველთა ეკლესიების მართვა-გამგეობა რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიის ხელში დარჩება.

დროებითი მთავრობა უფლებას აძლევს საქართველოს ეკლესიას, მოკლე ხანში გამოარკვიოს თავისი უფლებრივი მდგომარეობა რუსეთის სახელმწიფოში, რაიც დროებითს მთავრობას დასადასტურებლად წარედგინება.

ვიდრე დროებითი მთავრობა საქართველოს ეკლესიის უფლებრივ დებულებათ დაამტკიცებდეს, საქართველოს საეგზარხოსოში არსებული დაწესებულებანი წინანდელის წესით იარსებებენ.

რუსეთის სახელმწიფოში საქართველოს ეკლესიის უფლებრივ მდგომარეობის საბოლოოდ დადგენა და განმტკიცება დამფუძნებელ კრებას ეკუთვნის.

დროებითი მთავრობა ულრმეს რწმენას გამოსთქვამს, რომ დიადი აქტი საქართველოს ეკლესიის თვით გამორკვევისა მოხდება ეკლესიურ მშვიდობიანობისა და სიყვარულის დაგვარად რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიის მიმართ.

სიტყვის თავისუფლება.

კვირას, 26 მარტს **მონდიძორის საზ.** (ოკრიბა) მოხდა ხელმეორეთ არჩევნები. მიუხედავათ იმისა, რომ პირველი არჩევნები სრულიად თავისუფალი და მიუდგომელი იყო, და საზოგადოებაც ბლომათ დაესწრო ვიდრე 26 მარტს. მაინც სოციალ დემოკრატებმა ხელახლავ მოახდინეს არჩევნები, წინა ყრილობაზე დაესწრო 700 კაცი და 26 მარტს კი 150 კაცამდე, თამამათ შეიძლება ითქვას, რომ წინანდელი არჩეული პირები 20 კაცში ერთს გარდა სრულიად უპარტიო იყო ეს პირები იყვნენ საზოგადოებისაგან ნდობით აღჭურვილნი. ამ დღეს კრებაზე მოვიდა ორი სოც. დემოკრატი მათ თან წამოეყვანათ ხრესილიდან ერთი მილიციონერი. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ხსენებულ მილიციონერს პირველმა სარაიონო კრებამ ჩააბარა დარაჯებზე ჩამორთმეული 8 თოფი (ვინტოვკა) ამ პირმა ეს თოფები ს. დ. ჩაგონებით მიითვისა და ამბობდა სანამ ხელახალი არჩევნები არ მოხდება ამას არავის დავანებებო. არჩევნების დროს კი ეახლებათ ხოლმე ს. დ. პროპოგანდისტებს და ისე იცავს მათ რომ მოწინააღმდეგეს სიტყვის თქმასაც კი უკრძალავს. ამ დღესაც ეს ვაჟბატონები ასე მოიქცნენ. მოვიდა თუ არა კრებაზე ერთი ს. დ. პროპაგანდისტმა ხალხს გამოუცხადა „მე ვარ მუშათა პარტიის კომიტეტის გამოგზავნილი თან მაქვს ევ. ვევეპკორის მოწმობა ეს პარტია არის მხოლოდ და მხოლოდ თქვენი ინტერესის დამცველი და სხვა არავინ. ხალხმა უპასუხა ჩვენ ყველანი მუშები ვართ, ჩვენ პარტიის არაფერი არ ვიცით. ს. დემოკრატათ ახლად მონათლულმა თავმჯდომარემ ასე დააყენა საკითხი. ხალხო მუშებო გინდათ თუ არა, რომ ილაპარაკოს მუშის პარტიის წარმომადგენელმა,, რომელსაც ევ. ვევეპკორის მოწმობა აქვს, თუ სხვა პარტიისამაც. ხალხო, ჩვენ მუშები ვართ, ჩვენ მუშათა პარტია ვართ და მეტი არაფერი სხვა პარტია ჩვენ არ ვიცით. პირველი პროპაგანდისტი აღფრთოვანებულია ამ მოქმედებით, მეორეს კი სინიდისი აწუხებს, რომ ეს სიტყვის თავისუფლების გათელვა არის. როგორც იქნა მიეცა ნება ერთ მოწინააღმდეგე პარტიის წარმომადგენელს მაგრამ მას სიტყვის დასრულება არ დააცალეს და ხსენებულმა გმირმა მილიოცეიონერმა შუა ლაპარაკის დროს შეაჩერა და უთხრა ჩვენ შენი სიტყვა არ გვინდა და მოიმარჯვა თოფი ხალხიც ამ ხმას აყვა რასაკვირველია ხმებიც არ დაუთვლიათ, რომ გამორკვეულიყო უმრავლესობა იყო თუ არა, სიტყვის თავისუფლების წინააღმდეგი. საქმე იმით დასრულდა, რომ მას სიტყვა აუკრძალეს და არჩევნები მოახდინეს. ცხადია თვითონ ფაქტი იმდენათ საინტერესო არის რამდენათ ეს ართმევს უფლებას დღეს ამ დიად მომენტში ამა თუ იმ მიმართულების წარმომადგენელს.

გლეხის შვილი.

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ გამოაცხადოთ, რომ 24 მარტიდან მე ფაქტიურ რედაქტორობას არ ვწევ გაზეთის.

ნ. ლორთქიფანიძე.

სახალხო მასწავლებელთა.

(არჩევნები.)

უკანასკნელი კრება 28 მარტს იყო. ბიურომ, რომელსაც მინდობილი ჰქონდა სხვათაშორის გამგეობის წევრების დასახელებაც, ასეთი განაჩენი წარმოუდგინა კრებას; მომავალ გამგეობაში უნდა შედიოდეს სამი სოც. ფედერალისტი, სამი სოც. დემოკრატი, ორი სოც. რევოლუციონერი, ეროვნულ-დემოკრატების რიცხვი-კი განსაზღვროს კრებამ, ჩვენ კი მათ ერთ ადგილს **ვუთმობთო**.

პირადათ კერძოთ ჩემს შეკითხვაზე, პირაქეთ მკითხეს, რამდენი ხართო. — არ ვიცი-მეთქი, თითებზე არ დამითვლია, ყოველ შემთხვევაში ესერების რიცხვს ოთხ ხუთჯერ გადავამეტებთ-მეთქი.

ჩვენმა ამხანაგმა მოითხოვა, დაცული ყოფილიყო სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპი და გამგეობაში ყველა მიმართულებას თანასწორად ჰყოლოდა წარმომადგენლები. ამხანაგებს მხარი დაუჭირეს სოც. ფედერალისტებმა, მაგრამ ამ დროს დემაგოგიური ქამანდი ისროლეს და ეს ქამანდი თვით ბიუროში შემზადებული სა[illegible] ეროვნულ-დემოკრატები [illegible] არ არიან და ამიტომ მათთვის ერთი ადგილიც თუ გნებავსთ მეტიაო! — რასაკვირველია, თუ რევოლუციონერება მუშტების ქნევასა და იეროქანას საყვირისებურ ყვირილში გამოიხატება, ეს მათთვის დაგვითმია და არც ვისმე შევეცილებით. სხვაფრივ კი ჯერ კიდევ საკითხავია, ვინ რა გააკეთა, ან ვის რა გაუკეთებია რევოლუციის სასარგებლოდ, ყოველ შემთხვევაში, ეს ყალბი პრინციპია და აქ სრულიადაც არ იყო მოსატანი, ერთმა ფანატიკოსმა ისიც კი გააცხადა, ვინ არიან ეროვნ.-დემოკრატებიო. — სირცხვილია, სხვა რომ არა იყოს რა, მასწავლებლისთვის ასეთი კითხვის შემოტანა! რასაკვირველი, მან კარგათ იცის, რომ ეროვნ. დემოკრატები არიან ისინი, ვინც ხალხს მართალს ეუბნებიან და ოცნების სამყაროზე თითის მიშვერით გზა-კვალს არავის უკარგავენ.

— კრების უმრავლესობა მოითხოვდა, რომ ჩვენს ამხანაგებს გამგეობაში ორი ადგილი დასთმობოდა, შემოვიდა კენჭის ყრის წინადადებაც, მაშინ ესდეკებმა და მათთან ერთად ესერებმა (?!) ჩვეულებრივ ობსტრუქციას მიმართეს და განაცხადეს, დარბაზს დავსტოვებთო. ესფერთა წარმომადგენელმაც განაცხადა, არჩევნებში მონაწილეობას აღარც ჩვენ მივიღებთო. ამხანაგმა გ. გიორგაძემ განმარტა: ჩვენი მოთხოვნა იყო ყოვლად სამართლიანი და რადგანაც სამართლიანობას ძნელად სადმე ჰქონია გასავალი, იმ ერთ ადგილზედაც, რომელიც ბიურომ „გვიწყალობა'', უარს ვაცხადებთო. საკითხი გამოირკვა, განახლებულ ეროვნული სკოლის სათავეში ეროვნული დემოკრატიის წარმომადგენელი არ არის; იქ არიან მხოლოდ „რევოლუციონერები" (?!): სანფარები, რანდონები, რომელთაც რევოლუციის გულისათვის საკატორღო სასჯელი ქუთაისის ბაღში მოიხადეს, და მრავალრიცხოვან ქართველ „ესერთა" წარმომადგენელნი.

საყურადღებო იყო ახალი მთავრობისადმი მილოცვის დეპეშები: ბატონმა სანდონებმა საქართველოსათვის კულტურული ავტონომია გამოიმეტეს, რასაც 14 ივლისის კანონს ნიკოლოზ 2-კი იძლეოდა. არსებითად კულტურული ავტონომია ამაზე შორს ველარ მიდის. და როდესაც ესდეკებმა იგრძნეს, რომ აქ სასტიკათ დამარცხდებოდენ, დარბაზი დასტოვეს. ოთხასამდი ხმა მიიღო სანფარების მიერ წამოყენებულმა ეროვნულ-ტერიტორიალური ავტონომიის მოთხოვნამ და კიდევაც გავიდა.

ეროვნულ-დემოკრატი.

კერენსკი და მუშათა საბჭო.

პეტროგრადი. 27 მარტი. უკანასკნელ ხანებში „პეტროგრადის მუშათა და სალდათების დეპუტატთა საჭოს უწყებაში'' იბეჭდებოდა წერილები, რომელიც კრიტიკით ეხებოდა მინისტრ კერენსკის მოქმედებას სამეფო გვარეულობისა და გენერალ ივანოვის განთავისუფლების გამო. წერილებში ერთნაირი უნდობლობა იყო გამოცხადებული. 26 მარტს კერენსკი მივიდა ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს სხდომაზე და შემდეგის სიტყვით მიმართა: „მე მოვედი აქ, რადგან გავიგე, არიან ადამიანები, რომელნიც ჰბედავენ უნდობლობა გამომიცხადონ. მე და დროებით მთავრობას გვისაყვედურებენ, ვითომ ლმობიერად ვეპყრობდეთ ძველი მთავრობის წარმომადგენლებს და სამეფო გვარეულობის წევრებს. ვაფრთხილებ ყველას, რომ არავის მივსცემ ნებას უნდობლობა გამომიცხადოს და ჩემს პიროვნებაში რუსეთის დემოკრატია შეურაცხყოს. გთხოვთ, ან სულ გამომრიცხოთ თქვენი წრიდან, ან განუსაზღვრელი ნდობა გამომიცხადოთ. თქვენ მისაყვედურებთ, რომ სამეფო გვარეულობის წევრები თავისუფალნი არიან, მაგრამ იცოდეთ, თავისუფალნი არიან მხოლოდ ისინი, ვინც ჩვენთან ერთად იბრძოდა მეფის წინააღმდეგ. თავისუფალია დიმიტრი პავლოვიჩი, რადგან იგი პირველი მებრძოლი იყო მეფის მთავრობის წინააღმდეგ. მან მოაწყო შეთქმულება და მოჰკლა რასპუტინი. მას სრული უფლება აქვს სპარსეთში თავისუფალ რუსის ოფიცრად იყოს. გენერალი ივანოვიც ჩემის უფლებით გავანთავისუფლე. იგი ჩემს განკარგულებაშია, სცხოვრობს კერძო ბინაზე, რადგან ავადაა და რამდენსამე

დღეს თუ ილოცხლებს. ამხანაგნო ჯარისკაცნო და ოფიცრებო! დროებით მთავრობის საქმე დიდი და პასუხი საგებია. გახსოვდეთ, რომ იგი ბოლომდე იბრძოლებს თავისუფლებისა და რუსეთის დამოუკიდებლობისათვის. იმის გარშემო უნდა შემოკრბეთ და ვიმუშაოთ. უნდობლობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. მე ვიყავი ცარსკოე სელოში და იქ საქმე ჩემს კარგს ნაცნობს აბარია, მე მას ვენდობი განუსაზღვრელად. ყველაფერი ცარსკოე სელოში ჩემის განკარგულებით ჰხდება და მე ვარ პასუხისმგებელი (ტაშისცემა). მე არ წავალ ამ ადგილიდან, ვიდრე არ დავრწმუნდები, რომ რუსეთის თავისუფლება საბოლაოდ დამკვიდრებულია და რუსის არმია ისე თავისუფალია, რანაირიც არა აქვს არც ერთს ჯარს ქვეყანაზე. რუსის ჯარისკაცი ამჟამად თავისუფალი მოქალაქეა. ამას ჩვენ სამს დღეში მივაღწიეთ. 27 მარტს სწორედ ერთი თვე შესრულდება, რაც მე თავრიდის სასახლეში რევოლიუციონური ჯარი შემოვიყვანე და დროებით მთავრობაში შევედი თქვენს წარმომადგენლად ამ დღეებში გამოქვეყნდება დოკუმენტი, სადაც უარყოფილი იქნება ყოველგვარი დაპყრობითი მიზნები რუსეთის მხრით. დროებითი მთავრობა თქვენს ხმას ყურს უგდებს. მე ვმუშაობ და ვიმუშავებ მხოლოდ იქამდე, ვიდრე მენდობიან და ჩემთან გულ-ახდილნი არიან. სამშობლოს ინტერესი მოითხოვს ჩვენს ერთად მუშაობას, მე ვაცხადებ: თუ გნებავთ, ვიმუშაოთ ერთად, თუ არ გნებავთ—წავალ. მე მინდა ვიცოდე, მენდობით თუ არა. სხვანაირად მუშაობა არ შემიძლია“. „უკანასკნელი სიტყვები კერენსკიმ საშინელის აღელვებით წარმოსთქვა. დარბაზი შეიძრა, შეირყა ტაშის კვრით. გაისმა ხმები: ,,გთხოვთ იმუშაოთ, გთხოვთ!“ ,,გენდობით, გენდობით, მთელი მრავალ-მილიონიანი ჯარი გენდობათ, ალექსანდრ თეოდოროვიჩ!‘‘.

„მე მოვედი აქ,—დაათავა კერენსკიმ არა მარტო თავის გასამართლებლად, არამედ იმის გამოსაცხადებლმდ, რომ ნებას არ მივსცემ თავს რუსეთის დემოკრატიის ეჭვს ხვეშ ვიყო!“ (ოვაციები).

კრების თავმჯდომარემ განუცხადა კერენსკის საბჭოს სახელით: უნდობლობის თაობაზე ლაპარაკი ზედ მეტია. თუ ვინმე ამას იტყოდა, ყოველ თვის ვაჩერებდით. არმია და საზოგადოდ მთლად რუსეთის დემოკრატია გენდობათ თქვენო.

სასახლეში კერენსკის გული შეუწუხდა. როდესაც მოსულიერდა, მინისტრმა სთქვა: მე დაკმაყოფილებული ვარო. კერენსკი სკამიანად აიტაცეს და ისე გაიტანეს სასახლიდან.

ივანე გომართელი.

უბრალო საუბარი.

— საიდან მოდიხარ პეტრე?

— ყრილობა იყო შენი ჭირიმე, ქალაქიდან ჩამოსულან და სუყველას მოქალაქეებს გვიძახიან. მე სადაური მოქალაქე ვარ შენი ჭირიმე, ორჯერ არა ვყოფილვარ ქალაქში.

— ეჰ, ჩემო პეტრე, მოქალაქე განა იმასა ნიშნავს, რომ უთუოდ ქალაქში სცხოვრობდე!

— მა რას ნიშნავს შენი კვნესა მე?

— ძველი მთავრობა მოისპო. ეს ხომ იცი, ჩემო პეტრე. მის ალაგას ახალი მთავრობაა. ძველმა მთავრობამ მოიგონა სახელები—გლეხი, თავადი, აზნაური, გლეხთან შედარებით თავადს და აზნაურს მეტი უფლება ჰქონდათ, მეტი პატივისცემა. გლეხს კისრისკვრით გააგდებდენ გზის გასაკეთებლათ, ბეგარაზე, თავადსა და აზნაურს კი ვერა.

ახალმა მთავრობამ ყველა ეს სახელები გააუქმა, ყველა გაათანასწორა: აღარც გლეხია, აღარც აზნაური, აღარც თავადი.

მაშ რა უნდა დაგიძახო ახლა ჩემო პეტრე— გლეხი? გლეხი რომ აღარა ხარ!

თავადი? აზნაური?

მაგრამ არც ერთი ხარ და არც მეორე, რადგანაც ვინც იყვენ თავადი და აზნაური, ისინიც აღარ არიან.

გლეხის, აზნაურისა და თავადის ნაცვლათ ახლა შემოღებულია ერთი სახელი—მოქალაქე, წინანდელი თავადი, აზნაური და გლეხი დღეს ყველა თანასწორია, ყველა მოქალაქეა.

— ახლა-კი მივხვდი შენი ჭირიმე, თავადების საქმე რომ წასულა მეცა ვხედავ, მაგრამ ბევრი ქომაგი-კი ჰყოლია და ჩვენისთანა უსწავლელ ხალხს-კი გვატყუებენ.

— ვინ მოგატყუა პეტრე?

— ვინა შენი ჭირიმე და ერთი მოლაპარაკე გამოვიდა და—ძმებო და მოქალაქენოვო! სულ ასე გველაპარაკებოდა, ჯერ თავი შეგვაყვარა სუყველასა და მერე კი შემოგვაპარა: ავტონომია უნდა მოვითხოვოთო. ჩვენ რა ვიცით შენი კვნესა მე, ავტონომია სასმელია თუ საჭმელი, უსწავლელი ხალხი ვართ. რაღაცა კაი გვეგონა და ვიღრიალეთ სულ ყველამ: მოვითხოვოთ, მოვითხოვოთო.

თურმე ნუ იტყვი, ავტონომია ბატონყმობა ყოფილა და ის ულმერთო ისა, აკი ყელსა გვჭრიდა.

— მერე ვინ გითხრა ჩემო პეტრე, რომ ავტონომია ბატონყმობაა?

— მეორე მოლაპარაკე გამოვიდა იმან აგვიხსნა: რასა სჩადიხართ ძმებო და ამხანაგებო, ავტონომია ბატონყმობა არისო. ამის შემდეგ პირველმა კიდევ დააპირა ლაპარაკი, მაგრამ აღარავინ აღარ დაუჯერა: არ გვინდაო, წადი, დაიკარგეო.

— სიცრუეა ჩემო პეტრე, სიცრუეაბა როგორ უნდა დაიჯერო, რომ დღეს ბატონყმობის აღდგენა შეიძლებოდეს კიდევ. ავტონომია ბატონყმობა კი არ არის, ჩემო პეტრე, არამედ სულ სხვა რამე.

ჩვენ ჩემო პეტრე ქართველები ვართ. ქართლში, კახეთში, იმერეთში, რაჭაში, გურიაში, სამეგრელოში, სვანეთში, ლეჩხუმში, აჭარაში — ყველგან ქართველებია და სულ ყველა ქართლელი, იმერელი, რაჭველი, მეგრელი, გურული, სვანი, ლეჩხუმელი, აჭარელი—ყველა ერთად შევადგენთ ერთ ქართველებს; ჩვენი სამშობლო, ჩვენი მიწა წყალია საქართველო, საქართველოს თავი ქალაქი თბილისი.

ჩვენ ყველა ქართველები—ქალებიც და მამაკაცებიც—ავირჩევთ ჩვენ შორის სანდო პირებს, ისინი შეიკრიბებიან დრო და დრო თფილისში და მოაწესრიგებენ ჩვენი ქვეყნის საქმეებს, გაიყვანებენ გზებს, გახსნიან სკოლებს, საავათმყოფოებს; საცა მოსავალი არ იქნებს იქ ხალხს დაეხმარებიან, დიდ მემამულეებს ჩამოართმევენ ზედმეტ მიწებს და ხალხს გადასცემენ. თუ იმათ კანჭებში შევატყვეთ, რომ ჩვენს საქმეს რიგიანათ ვერ ასრულებენ, დავითხოვთ და სხვებს ავირჩევთ.

ჩვენ თვითონ ავირჩევთ პოლიციას, რომელიც ქურდობასა და ავაზაკობას მოსპობს, ჩვენ თვითონ ავირჩევთ მოსამართლეებს, რომლებიც ყოველ საქმეს სამართლით გაარჩევენ. ერთის სიტყვით ჩვენს ხელში, ხალხის ხელში იქნება ყოველისფერი. უფროსი ბატონი და ბრძანებელი არავინ არ გვეყოლება. რასაც თვითონ ხალხი და მისგან არჩეული პირები გადასწყვეტენ და დაადგენენ, ის უნდა ასრულდეს მხოლოდ. ამის ასასრულებლათაც არჩეული კაცები გვეყოლება და ჩვენ კი არ ვიქნებით იმათი მორჩილი ისინი იქნებიან ჩვენი მორჩილი. როდესაც კი დავინახავთ, რომ ისინი ქვეყანას კარგათ ვერ ემსახურებიან, მაშინათვე გადავაყენებთ და მათ ალაგას სხვებს ავირჩევთ. აი ეს არის, ჩემო პეტრე, ავტონომია. აბა ერთი სინდისის ქვეშ მითხარი, სად არის აქ ბატონყმობა?

— რასა ბრძანებთ შენი ჭირიმე, ე რა მითხარ? რომელს დაუჯერო ახლა, მე თვითონ არ ვიცი.

— შენ ხომ იცი, ჩემო პეტრე, რომ მე შენ არ მოგატყუებ.

— როგორ არ ვიცი, მაგრამ იმან რალათ მოგვატყუა, ავტონომია ბატონყმობა არისო?

— არ მოქცეულა კარგათ ჩემო პეტრე. ყველა მოლაპარაკემ სიმართლე უნდა გითხრას და, რას აირჩევთ და რას მოიწონებთ მერე, ეს თქვენი საქმეა.

მოწოდება

ქართველო ხალხო განურჩევლად წოდებისა და მდგომარეობისა ესწრაფეთ დაიმუშაოთ ყოველივე ნაჭერი თავისუფალი ადგილისა, დაეხმარეთ ერთმანეთს, დასთესეთ საჩქაროთ უფრო პური, სიმინდი, ქერი, ფეტვი, კარტოფილი და ბოსტნეული, რომ ერმა თავი დააღწიოს უსაშინელეს კარზე მომდგარ სიმშილს. თუ ჩვენი მოსავალი არ მოგვივიდა, უბედურება ელის ერს. არ დაზოგოთ ფული და შრომა, რომ უზრუნველ ჰყოთ თქვენ თქვენი თავი და თქვენი ოჯახი. სხვისი იმედი ნულარ გაქვთ.

სიდინჯე!

ახალი მთავრობას განმტკიცება სჭირია. ყოველ მშვიდობიანობის დარღვევა, პარტიათა შორის გამწვავება ამ მიზნისთვის უაღრესად მავნეა. ამიტომ გთხოვთ ერიდოთ ყოველ მოქმედებას, რომელსაც შეუძლია გაუგებრობა გამოიწვიოს.

იმ პირთა შესახებ, რომელნიც ეწევიან პროვოკაციას, ცილს სწამებენ პარტიებს და მოწინააღმდეგეებს სასურველია შეატყობინოთ, ქუთაისის აღმასრულებელ კომიტეტს, რადგან ისინი არიან შეგნებული, თუ შეუგნებელი, მტერნი რევოლიუციისა.

ქუთ. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის კომიტეტი.

მზეო!

გახსოვს მზეო, გახსოვს, მზეო,
საშენოთ რომ ჰიმნებს ვთხზავდი,
ჩემის გულის მოსაოხათ
შენს კვარცხლბეკზე გრძნობებს ვწვავდი!..
გიგალობდი, შეგხაროდი,
მოგიწვევდი, მოგიხმობდი,—
ლექსებს შუა დაფარულათ
უწყი, რასაც ვგულისხმობდი!..
ვენთებოდი, ვეგზნებოდი,
სადაც ბნელში იდუმალათ
და სიცოცხლეს მოვათრევდი
შენს კარამდი ძალით ძალათ!..
გულში ჩამრჩა იგი გზნება,
გადაურჩა მტარვალის ხელს
და მეც ისევ ჰაბუკურათ
დღეს შევსძახი მთასა და ველს:
გაუმარჯოს, მზევ, შენს მოსვლას,
მოციმციმე სხივთა კონებს,
ჩემს ოცნებას სინამდვილეთ
რომ გადმიქცევს, გამაგონებს!
სხვასთან ერთად ჩვენს კარავშიც,
ჩვენს კარავშიც მოვედ, მზეო!
სხვასთან ერთად შენც იშვებდე,
ქართველის დედავ, ქართველის ძეო!

დ. თომაშვილი.

ფოთის ამბები.

ვინ არ იცის დიდი მნიშვნელობა დღევანდელი მომენტისა? ვინ არ იცის, რომ პეტრეს ქალაქში დაღვრილმა სისხლმა მიანიჭა რუსეთის ყოველ მოქალაქეს ისეთი უფლებანი, რომლებზედაც ოცნებაც შეუძლებელი იყო! ვინ არ არის, რომ დაინგრა ყოველივე ძველი, და ცხოვრება განახლების გზას დაადგა. ყველას და ყოველგვარს ახალი ელფერი ეტყობა, ყველამ დააღწია თავი საღაოს ძილს და ასე თუ ისე ცდილობს შეესაბამოს რეალურ მდგომარეობას.

ჩვენი მიძინებული ფოთიც აჰყვა საერთო ფერხულს და თავისი სიტყვა სთქვა თანამედროვე მდგომარეობაზე.

რევოლიუციის გამარჯვების პირველ დღეებშივე გაიმართა მიტინგები და წარმოითქვა მრავალი საზეიმო სიტყვა, რომლებშიც ყველაფერს კი შეეხენ, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ და სავალალოდ, სამშობლო საქართველოზე თითქმის კრინტიც არვის დაუძრავს.

ამ გარემოებას უყურადღებოდ არ დარჩა და უმთავრესად ადგილობრივი ახალ-გაზრდების ეროვნულ-დემოკრატიულ თაოსნობით დაარსებულ იქმნა ეროვნულ-დემოკრატიული წრე. რომელიც თან-და-თან მატულობს და თავისი პროგრამით სიმპატიის ჰპოულობს ფართო საზოგადოებაში. ამ ჯგუფს ჰყავს კომიტეტი, რომელიც სამ ფრაქციად იყოფა. ამ კომიტეტის თაოსნობით კვირას 26 მარტს გაიმართა ადგილობრივათ მიტინგი რომელსაც აურებელი ხალხი დაესწრო, მაგრამ, ჩვენდა საუბედუროდ და სასირცხვოდ, საზოგადოებამ ვერ გამოიჩინა შესაფერი ზრდილობა დაარღვია უმთავრესი პრინციპი თავისუფლებისა—ბრბომ სიცილ ხარხარი დააყარა, სტვენით და „ძირს“ ძახილით დააჯილდოვა პატივცემული მოღვაწე სპირიდონ კედია. მიუხედავად იმისა, რომ ბ. კედია მოუწოდებდა ხალხს ერთობისაკენ და არავითარი უღიერობა არ უთქვამს სხვა პარტიებზე—ვიღაც ფანატიკოსმა შუაზე გააწყვეტინა სიტყვა ორატორს „ხალხს ნუ გვიბუნტებ“, პარტიებზე ლაპარაკი არ გაბედოო. აქ ასტყდა საშინელი ძახილი აურ-ზაური და ბ. კედია იძულებული იქმნა სიტყვა გაეწყვიტა. შემდეგ საზეიმო სიტყვები წარმოსთქვეს მოწაფეებმა, მაგრამ დამსწრეთა განგაში არ აძლევდა საზოგადოებას ყური დაეგდო მათთვის. წრფელი და გულის სიღრმიდან ამოხეთქილი იყო მოკლე, მაგრამ ცეცხლით აღსავსე სიტყვა ჯარისკაცის ამხანაგ ნიცარაძისა, წარმოთქმული რუსულ ენაზე და მიმართული რუს მხედრობისადმი ,,არა, ამხანაგებო, ჩვენ არ ვართ რეაქციონერები და რეტროგრადები! ჩვენ არა გვსურს: მეფის არჩევა და სრული გათიშვა რუსეთიდან. ჩვენ თქვენი ძმები ვართ და თქვენთან ერთად ვღვრით ჩვენს სისხლს საერთო მტერთან ბრძოლაში-“ო. მაგრამ ვინ გაუგონა!

ილაპარაკეს აგრეთვე სოციალ-დემოკრატების წარმომადგენლებმა, რომელთაც იგივე აზრი გამოსთქვეს, რაც ბ. კედიამ. ,,საჭიროა ერთობა და განვითარება, რომ საერთო ძალებით ავაყვავოთ ჩვენი სამშობლო, გავაუმჯობესოთ პროლეტარიატის მდგომარეობა. ორატორების სიტყვებში სრული ჭეშმარიტება ღვივის, ისინიც ერთობისკენ ისწრაფვიან. იმათ სიტყვებში ჩვენი პარტიის საწინააღმდეგო არა არის რა. ხალხნო! უსმინეთ ორატორებს, ვინაიდან დღეს თავისუფლებაა სიტყვისა! ვისაც არ გსურთ სმენა, განშორდით მოედანს - ნუ უშლით მსურველებს სმენასო“. ხალხი თითქოს დაწყნარდა... მაგრამ ავიდა ტრიბუნაზე ფედერალისტი ბ. ლაღიძე და გაბედულათ მიმართა რუს ჯარისკაცთ, რომელნიც ბლომად დაესწრნენ მიტინგს:

„ჩვენ ქართველები თქვენთან ერთად მხარს ვუჭერთ რევოლიუციას. გაუმარჯოს თავისუფალ რუსეთს და რუსის გლეხობასო!“ ხალხი ტაშისცემით შეხვდა ამ წინადადებას... მაგრამ ნიდგა თუ არა საკითხი ქართველ ერზე და სთქვა თუ არა ლაღიძემ: „გაუმარჯოს თქვენს ძმებს ქართველებს და სრულიად ქართველ ერსო“.

რაღაც აუწერელი და საზარელი მოხდა: ხალხმა „არა! არა! და ძირს! ძირს! ძახილით გაისტუმრა პატივცემული მოლაპარაკე. ბოლო სიტყვა დარჩა ისევ სპ. კედიასი.

ეს სიტყვა ისეთი გულისწყრომა, ტანჯვა-ვაება, წრფელის მამულიშვილისა, ეს სიტყვა იყო ცრემლი, მაგრამ ამასთან ერთად ცეცხლი მახვილი!

ერო მშობელო! იგრძენ შენი იარა წყლული, დახედე შენს ყვავ-ყორანთ მიერ დაფლეთილ გულ-მკერდს, ყური უგდე მონურ ქშენა-გმინვას ტანჯული საქართველოსი, მიაქციე სათანადო ყურადღება შენს გათელილ წმინდათა-წმინდას, რომელსაც აღდგენა, განწმენდა, გასპეტაკება სჭირიან.

ერო ქართველო იცან თავი შენი!

მიტინგი უდროოვოდ დაიხურა.

აი ამ რიგად გათავდა მიტინგი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა გამართული ქ. ფოთში 26 მარტს 1917 წელს.

დეე! ჩვენმა შთამომავლობამ, თუ კი ქამთა ბურუსმა დატოვა ის ქართველად, დასდოს მსჯავრი ამ მოვლენას და გაასამართლოს ის, ვინც დღევანდელ საბედისწერო ჟამს ყოფნა-არ-ყოფნას გაურბის ეროვნულ საკითხს და ეწინააღმდეგება ეროვნულ მცნებას. დღ[illegible] განსაჯოს ყოველივე ეს! [illegible] დღეს-დღეობით ამით რა?! ჩვენი მრავალტანჯული, მაგრამ მაინც ბევრთათვის კიდევ საყვარელი ქართველი ერი არ მოკვდება! ის გაიკვლევს თავის ისტორიულ გზას და ბედნიერებით აღვსილი თავისუფლად ივლის წინ, სულ წინ!

მხოლოდ საჭიროა ენერგია, მეთაურობა, შრომა და ბრძოლა.

მაშ ჩვენ უმთავრესად, მეგობრებო, ქართველ ახალ-გაზრდებს, ჩვენ გვადევთ ეს ისტორიული ვალი; ჩვენ უნდა შევასწოროთ მამა-პაპათა შეცდომანი და მოუპოვოთ ბედნიერება საქართველოს.

მაშ, შევასრულოთ ჩვენი მისსია, რომ პირნათლად შევხედოთ ჩვენს მომავალს.

⁂

იმ საღამოსვე რვა საათზე სავაჟო გიმნაზიაში მოხდა მორიგე კრება ეროვნულ დემოკრატიულ პარტიისა. საზოგადოება მრავალი დაესწრო, ასე რომ დარბაზში ადგილი აღარ იყო ხალხისთვის. ილაპარაკა სპ. კედიამ, რომელმაც გააშუქა ყველა ჩვენში არსებული პარტიების მსოფლ-მხედველობა. განსაკუთრებით გაჩერდა ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის პროგრამაზე.

შემდეგ კრება გადავიდა საერთო პრაქტიკულ საკითხებზე და რჩევა სთხოვა ბ. კედიას, თუ როგორ სჯობია მუშაობაო. უკანასკნელმა კომიტეტს რამდენიმე. დარიგება მისცა. კრება დაიხურა თერთმეტის ნახევარ საათზე.

27 მარტს დილით სპ. კედია გაემგზავრა ახალ-სენაკს.

⁂

ადგილობრივ ქალებსაც დაეტყო გამოფხიზლება. რამოდენიმეჯერ გაიმართა ქალების კრება და ამორჩეული იქმნა ქალთა წრიდან სავანგებო კომისია. კვირას 26 მარტს ელექტრო-თეატრ „კომეტაში“ კატო მიქელაძის ქალმა წაიკითხა ლექცია ქალთა საკითხზე, რომელშიაც ის აზრი გაატარა, რომ თუ დღევანდელ დედებს ბევრი ნაკლი აქვთ, ეს ისევ მამაკაცების ბრალიაო, საჭიროა სრული ემანსიპაციაო, ბოლოს შეკრებილი იქმნა ფული ქალების გაზეთისათვის, ამ ახლო მომავალში რომ უნდა გამოვიდეს.

ა. ლოლუა

კოოპერატივების ყრილობის დადგენილება.

მოსკოვის კოოპერატივთა ყრილობამ აზრი გამოსთქვა, რომ რუსეთის გლეხობამ თავის ინტერესების დასაცავად უსათუოდ უნდა დაიარსოს თავის საკუთარი ორგანო. კოოპერატივთა ყრილობამ უარყო დაპყრობითი პოლიტიკა, მხოლოდ აუცილებლად სცნო რუსეთის მთავრობის შენარჩუნება.

ეროვნული ვითარება.

რიგა. სათათბიროს ლატიშელი წევრები 6 და 7 აპრილს იურიევში კონგრესს მოიწვევენ. კონგრესის საგანია გერმანელების მიერ დაპყრობილ კურლიანდიის ნაწილების მართვა გამგეობის პროექტის შემუშავება. კონგრესში მონაწილეობის მისაღებად არჩეულნი იქნებიან კურლიანდიის საზოგადოებათა, ორგანიზაციების, სოფლების და ლტოლვილების წარმომადგენელნი. არჩევნებში ქალებიც მიიღებენ მონაწილეობას.

სახალხო სოციალისტების რეზოლუცია.

მოსკოვი. სახალხო სოციალისტების კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ის აზრია გამოთქმული, რომ რუსეთში მცხოვრებმა ერებმა, ყველამ ავტონომია უნდა მიიღონო. ერთა უფლებანი მხოლოდ ფედერაციის საშუალებით იქნება საუკეთესოდ დაცულიო.

ბელორუსები.

მინსკი. ბელორუსთა ეროვნულმა კრებამ, რომელიც 25 მარტს იყო მოწვეული, თავის აღმასრულებელი ფუნქციები ბელორუსთა ეროვნულ კომიტეტს გადასცა. ამ კომიტეტმა დროებით მთავრობასთან შეთანხმებით ბელორუსიის მმართველობა უნდა მოაწყოს.

ჟურნალ-გაზეთებიდან

მოწოდება სტუდენტებისადმი.

კიევი. უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე ახალ გაზრდობა მალე დათხოვილ იქნება და ამიტომ კიევის სტუდენტობის პოლიტიკურმა საბჭომ მოწოდებით მიმართა სტუდენტებს, რათა გაჩაღონ აგი-

ლობრივ ენერგიული მუშაობა მოპოებული თავისუფლების განმტკიცებისათვის.

შეღავათი სტუდენტებს

1918 წლის პირველ ივლისამდის შეღავათი მიეცათ საზეითლო ინსტიტუტების მესამე კურსის სტუდენტებს მიუხედავათ წლოვანებისა, .სათადარიგო და მოლაშქრე ჯარის კაცებს და აგრეთვე იმ თეთრ ბილეთებიანებსაც, რომელნიც შემოწმების შემდეგ სამხედრო სამსახურისათვის სავარგისად იქნებიან ცნობილნი აღნიშნაც შეღავათის მისაღებათ უნდა მიემართოს ადგილობრივ „ვოინსკი ნაჩალნიკებს" სასწავლებლის სათანადო მოწმობებით.

ოდესის სტუდენტების ყრილობაზე გამოუტანიათ განაჩენი რომელიც მოითხოვს დაუყონებლივ გაძევებულ იქნენ უნივერსიტეტიდან პროფესორები განკოვსკი და ვილენსკი, როგორც ისეთი პირნი, რომელთაც მოაწყეს დევნა შევიწროება სტუდენტებისა კასოსა და შვარცის ბატონობის ძველ-დროში.

რევოლიუციის მსხვერპლი.

პეტროგრადში რევოლიუციის გაღვივების წამებში, როდესაც ძველ რეჟიმს აქტიურად შეებრძოლენ, გაღებულ მსხვერპლის ერთი გევლევასი შემდეგ ციფრებს გვიჩვენებს:

	დაიხოცენ	დაიჭრენ
ჯარისკაცები	87	498
მუშები	49	204
მოხელეები	24	51
პოლიციელები	19	—
ოფიცრები	14	37
მსახური ქალები	8	54
მოხელე ქალები	9	25
უცნობნი	42	16
სტუდენტი	6	8
საშ. სასწ. მოწ.	3	4
მოწყ. დები	2	8
იუნკრები	7	—
კურს. მოსწ. ქალ.	4	5

სულ 1, 224

დღიურიდან მოკლეთ.

ბრძოლის ველიდან.

10 მარტს თურქები შეეცადენ ღამე ჩვენს მოსაზღვრე პოლკს დასცემოდენ, მაგრამ ამაოდ მზვერავთა რაზმა მიმოფანტა ისინი. ვენებმა ორი ტყვის მფრქვეველი წაართვეს და ორმოც კაკამდის ტყვეთ წამოიყვანეს.

13 მარტი. დღეს ჩვენს პოლკში ფიცის დღეა მონობის უღლისაგან განთავისუფლებული ჯარის კაცი ფიცს აძლევს დროებით მთავრობას რომ ის ერთგულად ემსახუროს თვის სამშობლო რუსეთს და თავგამოდებით უკანასკნელ სისხლის წვეთამდის დაიცვას, მტრის შემოსევისაგან, მისი არსებობა. დღეს პირველად თავისუფლათ გაისმის მის ბაგეთაგან ახალი ფიცის სიტყვები: „გეფიცები ღირსებას სალდათისა და მოქალაქისას, რომ ერთგულათ დავიცვა ჩემი სამშობლო"-ო სახეზედ ყველას ღიმი უჭრის. გაფაციცებით ყველანი ხელს აწერენ ფიცის ფურცლებზე. მუსიკა უკრავს ფრანგულსა და რუსულ ხალხურ ჰიმნს. ბოლოს პოლკის უფროს მა-გრძნობიერი სიტყვით მიმართა ჯარს: უსურვა ახალ რუსეთს ბრწყინვალეთ მტერზედ გამარჯვება და შიგნიური-აყვავება. ხანგრძლივი „ურას" ძახილი ორხმათ გაისმოდა ცივ, თოვლით დაფენილ ოსმალეთის კლდე ღრეებში.

14 მარტი დღეს, როგორც იქნა ახლათ მიღებულმა გაზეთებმა დაწვრილებით გვაცნო პეტრეს ქალაქში მომხდარი ამბები. გაზეთებს და ახალ ბრძანებებს როტებში ვკითხულობთ საჭირო განმარტებით. ჯარის კაცები დიდის ინტერესით გვისმენენ

იოლო.

სამშობლოს,

მთელი საუკუნის ტანჯვა-წამების შემდეგ, საყვარელო სამშობლოვ, განთავისუფლდი!

მონობის ჯაჭვი, შენს კისერზე გაჭედილი, რომელითაც შენ შებოჭვილი იყავ, უკვე დაიმსხვრა!

გსურდა სიცოცხლე, წარმატება, მაგრამ ბნელი ძალები-მტარვალები გულში გიკლავდნენ შენს სურვილებს.

კაცობრიობის მტერნი შენს თავისუფლებას, აღორძინებას ლამობდნენ!

მაგრამ ეხლა მათ ოცნებას-პარპაშს ბოლო მოუღო სამუდამოთ თბილ გაზაფხულმა.

მათმა უმგვანო საქციელმა მათვე სასიკვდილო შხამი შეასვა.

დეე, იმაროს წმიდა სამშობლოს, სპეტაკ ერის ტანჯვა წამებამ.

და მოევლინოს აწ-და მარადის ჩვენს სამშობლოსაც, თავისუფალ რუსეთთან, თავისუფლება. და გაათბოს, გააბრწყინოს სამშობლოს სხივ-მოსილმა მზემ ჩვენი ქვეყანა?

მაშ, გილოცავ საქართველოს ერო, თავისუფლებას და მტარვალების სამუდამოდ დასამარებას!

გათბი, აღსდექი, აღორძინდი და კვლავ შეუდექ ძველებურად შენს ტკბილს ცხოვრებას. ეჭვი არ არის, რომ ბნელეთი ნათელმა სძლია და ამ ნათელში ჩვენც გვექნება ნეტარი ყოფა-ცხოვრება.

მაშ, გაუმარჯოს თავისუფლების მებაირახტრეთ და მათთან ერთად ახალს განთიადს.

მ. სვირელი.

მსოფლიო ომი.

დასავლეთის ასპარეზი.

პარიზი 26 მარტი. შუადღის ოფიციალური. სომმასა და ენნის შუა ღამის განმავლობაში მოდარაჯე რაზმების შეტაკებები იყო. მიუხედავად უამინდობისა, ბევრ ადაგას არტილერიის მოქმედება გაცხოველდა. რეიმსის ჩრდ.-დას. კურსის პოზიციებზე მოტანილი იერიშები ფრანგებმა ზარბაზნების სროლით მოიგერიეს. უფრო სამხრეთით გერმანელთა 2 რაზმი ხელის ყუმბარებით ფიცხელი ბრძოლის შემდეგ უკუ ქცეულ იქნა. მეზონ დეშამპონის მიდამოებში ფრანგებმა რამდენადმე წინ წაიწიეს. დანარჩენ ასპარეზზე მდგომარეობა უცვლელია.

გერმანეთის კიდევ ერთი მოწინააღმდეგე.

ვაშინგტონი 25 მარტი. რესპუბლიკა კუბამ ომი გამოუცხადა გერმანეთს. გერმანელების გემებს კონფისკაცია უყვეს

იტალიის ასპარეზი.

რომი. 28 მარტი მთელ ბრძოლის ველზე საარტილერიო ცეცხლია, ლაგარინთა და კარსელთან მტრის იერიშები მოვიგერიეთ.

ფინლიანდია.

ჰელსინგფორსი 24 მარტი. ფინეთის საბჭომ მოიწონა სეიმისთვის განსახილველად წარსადგენი კანონპროექტი, რომელიც ვაჭრობა მრეწველობის საქმეში უფლებრივად ათანასწორებს რუს მოქალაქეს ფინელ მოქალაქესთან. კანონპროექტის პირველი მუხლი: რუსეთის დაბმარება. ვისაც უფლება აქვს ვაჭრობა მრეწველობის ყველა დარგში მოქმედებისა, იმ დარგის გამოუკლებლივ, რომლისთვისაც არსებული კანონების ძალით სათანადო ნებართვაა საჭირო და აგრეთვე ყველა რუს მოქალაქეს ნება აქვს დააარსონ სააქციონერო საზოგადოებანი, კოოპერატიული კავშირი, ან ითვლებოდენ ასეთები წევრებათ. მეორე მუხლში ჩამოთვლილია ის კანონები, რომლებიც უნდა მოიხსნას ამ ახალ კანონის ძალაში შესვლის გამო.

პირველთან ერთად სეიმს წარუდგენენ მეორე კანონპროექტს, რომელიც გათვალისწინებულია რუს მოქალაქეთათვის საკომუნო თანასწორუფლებიანობის დადგენა. გარდა ამისა ფინელთ გავლენიან წრეებში ლაპარაკობენ ფინეთის ებრაელების უფლებრივ მდგომარეობის გაუმჯობესობის შესახებ.

რუსეთი

— **მწერალ ქალის ფოგელის დატუსაღება.** პეტროგრადის გამომძიებელ კომისიაში მოიყვანეს ტრამვაის ვაგონში შეპყრობილი მწერალი ქალი ფოგელი. იგი ტრამვაის ვაგონში ერთ მოხუც ქალის გვერდით მჯდარა და ამოოხვრით უთქვამს „ოი დროებავ, რუსეთს დაუდგა დრო ბარბაროსობის, და არა ქრისტიანული. უფლისგან მირონ-ცხებული ტახტიდან ჩამოაგდეს და სატუსაღოში მოათავსეს-"ო.

ამ სიტყვებზე ხალხი აღშფოთდა და მოითხოვა მწერალ ქალის საჩქაროდ დატუსაღება.

გამომძიებელ კომისიაში ფოგელის ქალს განუცხადებია, რომ მიდიოდა ეპისკოპ. ანდრია უფიმელთან, რომლისთვისაც უნდა წაეკითხნა თხუზულება: „მთელ კაცობრიობისადმი ბედნიერებისკენ მოწოდება".

— **ილიოდორი.** ცნობილი ილიოდორი, რასპუტინის ყოფილი მეგობარი, პეტროგრადს წავიდა, რასპუტინის შესახებ მრავალ ახალს იტყვისო.

— **დატუსაღება.** გენ. რიმანი, რომელიც 1905 წ. დამსჯელ ექსპედიციას მეთაურობდა ტორნეოდან შვეციაში მიმავალ გზაზე შეიპყრეს.

— შეიპყრეს ჯარის კაცთა საბჭოს წევრი პრაპორშჩიკების სკოლის იუნკერი, ზორინი, რომელიც პროვოკატორი აღმოჩნდა.

— **პირველი ხმოსანი ქალი.** კისლოვოდსკის ქალაქის მცხოვრებლებმა ხმოსანად აირჩიეს ნაფიც ვექილ შპილევის მეუღლე ეს პირველი მოვლენაა, რომ რუსეთში ხმოსნად ქალი აერჩიოთ.

უცხოეთი.

— **რისთვის იბრძვის ამერიკა?.** „ასოც. პრეს."-ში მოთავსებულია ვაშინგტონელ კორესპონდენტის ცნობა, რომელიც სხვათა შორის ამბობს „ამერიკა ბრძოლის ველზე გამოვიდა, მხოლოდ იმიტომ რომ, გერმანიამ უალრესად ფეხ ქვეშ გათელა საერთაშორისო უფლებები, მაგრამ უპირველეს ყოვლისა ამერიკა შეაძრწუნა იმ ვერაგ მოქმედებამ, რომელსაც ვილჰელმი აწარმოებდა ამერიკის გემების მოსასპობად. ყოველი კაცი თავის ინტერესებს იცავს და ამიტომ ამერიკაც იძულებული გახდა ხმლით შებრძოლებოდა ეროვნულ უბედურებას. ამერიკას ომის წარმოება შეუძლიან, მას ამისთვის ყოველგვარი ძალა აქვს. მაგრამ საჯაროდ უნდა იქმნას განცხადებული, რომ ამერიკა, ებრძვის მხოლოდ პრუსიის მილიტარიზმს და არა გერმანიის ხალხსო."

გერმანელების აზრი ამერიკის გამოსვლაზე.

სტოკჰოლმი. 26 მარტი თუმცა შეერთებულ შტატების გამოსვლამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა გერმანელებზე, მაგრამ თავს მაინც ინუგეშებენ და იმ ფაქტს აღნიშნავენ, რომ, თუ შტატებს უნდათ გერმანეთი ავსტრიისაგან გამოეთიშათ, უკანასკნელმა დაასწრო, თვით გამოუცხადა ომი და ამით თავისი ერთგულება გერმანეთისადმი დაამტკიცა. „ლოკალ ანცაიგერი" სწერს: თუმცა აგდებით არ ვუყურებთ ამერიკის გამოსვლას, მაგრამ მაინც უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ ეს სრულიად ვერ შეარყევს რწმენას გერმანელთა გამარჯვებისას.

რედაქტორი **ვასილ წერეთელი**
გამომცემელი ამხ. **სამშობლო**

რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან	დილის	8 ს.	წ.
„	საღამ.	8 ს. 50	„
ბათომიდან	დღისით	12 ს. 40	„
„	ღამის	1 ს.	„
ფოთიდან	დილის	10 ს. 26	„
ტყიბულიდან	საღამოს	6 ს. 50	„
მარელისიდან	დილის	9 ს. 24	„

ქ. ქუთაისიდან გადის.

თფილისისაკენ	დილის	11 ს. —	„
„	ღამის	11 ს. 34	„
ბათომისაკენ	საღამოს	7 ს. 5	„
„	დილის	7 ს.	„
ფოთისაკენ	დღისით	4 ს.	„
ტყიბულისაკენ	დილის	8 ს. 40	„
მარელისისაკენ	დღით	5 ს. 20	„

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

ჭ. ფ. ფილოიანისა.

ორივე სქესისათვის (თბილისში, მიხეილის პროსპ., № 24, ტელ. № 976).
თხოვნის მიღება: 4—5 საათ. საღამოთი. მეცადინეობა დაიწყო თუთხმეტ იანვარს.
პროგრამები და წესდებანი მსურველთ გაეგზავნებათ, ან მიეცემათ უსასყიდლოთ
კურსების კანცელარიაში. 11 თვ.

განცხადება

ქალაქ ქუთაისში ევგენია კორძაიას ასულის კერძო საპროფესიო ქალთა საშუალო სასწავლებელთან, რომელსაც უფლებები აქვს და კურსიც ქალთა ხუთ კლასიან პროგიმნაზიასთან შეფარდებული, მომდინარე წლის 1 სეკტემბრიდან არსდება უფლებიანი კურსები ხელსაქმის მასწავლებელ ქალთა მოსამზადებლად ამიტომ ამ წლის 20 აგვისტოს დილის 9 საათიდან განსაკუთრებული ნუსხით სწარმოებდეს, იქნება გამოცდა იმ პირთა, რომელთაც ამა თუ იმ კურსზე სურთ შესვლა. ხელსაქმის მასწავლებელ ქალთა მოსამზადებელ კურსებზე მიიღებიან: ა) ერთი წლით ის პირნი, რომელთაც ექნებათ გავლილი არა უმცირეს სახალხო შკოლების ორკლასიან კურსისა, ან ისეთნი, რომელთაც ხელსაქმე იციან იმ პროგრამით, რაც დადგენილია გიმნაზიების მე7დე კლასებისათვის. ბ) ორი წლით ისინი, რომელნიც ა) პუნკ. ნახსენებს პირებს დააკმაყოფილებენ, მხოლოდ ხელსაქმე აღნიშნული პროგრ. არ იციან ამ კურსების კარგათ დასრულების შემდეგ მოწაფე ქალები ღებულობენ დიპლომს, რომელიც უფლებას აძლევს მათ ასწავლონ ხელსაქმე ყველა საქალო სასწავლებლების იმ კლასებში, რომელთა გათავების შესახებ მოწმობაც ექნებათ. ხოლო საპროფესიო განყოფილებაში მიიღება ყველა განუსაზღვრელად.

წლიური გადასახადი 1 სეკტემბრიდნ დადგენილია: პროგიმნაზიაში მოსამზადებელ კლასების განყოფილებებში 30 მ. 1, 2, და 4 კლასებში 40 მან. მე 5 კლ.-50 მ. ხელსაქმის მასწავლებელ ქალთა კურსებზე-80 მ. საპროფესიო განყოფილებაში 30 მ. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება: ოლდენბურგის ქუჩა აბდუშელიშვილს სახლი. ვიწვევთ მასწავლებელ ქალთა და ვაჟთ: ხატვისა, ჰიგიენისა, ხელოსნურ ანგარიშისა, ბარგის ცოდნისა, აგრეთვე მოსამზადებელ კლასის და ხელსაქმეს მასწავლებელქალსა.

ექიმები:

ვ. ი. გოკიელი ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდროვს ქ. საკუთარი ს. 7 თ.

ა. მ. ასათიანი ღებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

გამოცდილი სტუდენტი ამზადებს მოწაფეებს ყველა კლასებისათვის. ჰყავს ჯგუფი საფინანსო მოწაფეებისა I და II ხარისხის. იყვანს პირობით, მისამართი: კაზაკოვის და გენერლის ქუჩის შესახვევი სახლი გიორგი სტეფანოვის №15 მიიღება 9—12 ს. და 3—6 საამამდე. მასწავლებელი **ა. ზ. თეღია.** 5 თ.

ა. დ. მაჭავარიანი (ყოფილი უფროსი ექიმი სმეცკის გულსუსტებიანთა სანატორიისა) იღებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფებს დილის 8—10 და საღამოს 6—8 საათამდე. დადიანის ქ. სახლი ჩარანიძის (წულუკიძისეული

ი. ჩარექოვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს.
(სისხლში შესხმა „606" და „914") **დილით** $12^{1}/_{2}$—2 საათ. საღამოს 6—8 ს.
მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიხანოვის სახ. ტელეფონი № 135. 4

მასაჟისა და სახის ხამქ. კაბინეტი მარიამ ტ. ბალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით, ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას, ამასთან ვუწრი ყვავილსაც **ახლად მიღებულ დეტრიტით** და აგრეთვე **ნამდვილად ვარჩენ** თავზე კანის ქერტლს, ანუ ქეტერს ჩემგანვე ახლ გამოგონილ წამლის საშვალებით, ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფები მიიღებიან დილის 9—2 და საღამოს 4—6 სათ. რჩევა და დარიგება ათი შაური. მისამართი: დადიანის შესახვევი ვ. კოსტავას სახლი **№ 17. 8** თ.

განცხადება.

ძმათა ქორქოლაძეების მაღაზიაში მიღებულია საუკეთესო ხარისხის

საპონის „სოდა",

აგრეთვე ყოველივე ბაკალიური საქონლები.

ფასები ყველაფერზედ ზომიერია. 10 თვ.

თუ გსურთ მიიღოთ საუკეთესო ფოტოგრაფიული სურათები, უსათუოდ შედით

პირველ ხარისხოვან ფოტოგრაფიაში „ხელოვნება"-ში

რომელიც გაიხსნა ამა 1917 წ. 1 იანვრიდან ქუთაისში ქარვასლის ქუჩა, ვ. გრიკუროვის სახლში, კლასიკურ გიმნაზიის პირდაპირ, მესამე სართულში შესავალი ვარანცოვისა და ქარვასლის ქუჩ.

ფოტოგრაფია ღებულობს ყოველგვარ საფოტოგრაფიო სამუშაოს:

ფოტოგრავიურები მიუნხენის ფოტოგრაფიის სკოლისებური,

პორტრეტები, ფაიფურზე, **გადიდება პორტრეტებისა**, რა ზომისაც საჭიროა.

ფასები ძლიერ მცირეა. მოსწავლეებს და სალდათებს დაეთმობათ 20% არსებულ ფასზე. დაკვეთილი საქმე სრულდება **საჩქაროთ და კეთილსინდისიერად**, რაშიც გთხოვთ დარწმუნდეთ. სურათებს იღებს რუსეთის სასახლის ფოტოგრაფიის თანამშრომელი ფოტოგრაფი **ს. ლარიბაშვილი.** 2 თ.

ავათმყოფნი სუსუნატით.

დიდი დროის დაკარგვისა და თავიანთი სენის უშედეგო წამლობის მაგიერ ამ ჟამათ გამოგონილია პროფ. მორნის მიერ ახალი საშუალება, რომელიც მეცნიერულათ არის შემზადებული და ავათმყოფთ სრულებით კურნავს მოკლე დროში ამ სენისაგან. ეს საშუალებაა **ბლენიოზოლი** პროფესორ **მორნისა.** ბლენიოზოლი შესდგება ახალ უკანასკნელათ გამოგონებულ ქიმიურ ელემენტებისაგან და საექიმო პრაქტიკაში საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია, როგორც რადიკალურმა გამკურნებელმა საშუალებამ ქრონიკულ სუსუნატისა, ტკლიპისა, ჰაჰებისა და შარდის ბუშტის ანთებისაგან. პროფ. მორნის **ბლენიოზოლი** რადიკალურათ სპობს გონორეის ბაცილებს, რა სიღრმემდისაც უნდა იყოს სხეულში ჩამჯდარი. **ბლენიოზოლი** ახდენს შარდის ბუშტის დეზინფექციას და მალე სპობს სიმწვავეს, ტკივილებს, დენას და სრულებით ასუფთავებს სუსუნატის სენით მოდებულ სხეულის ნაწილებს. ყველანი განურჩევლათ სქესისა, ვინც კი შეპყრობილი არიან ამ სენით, ვალდებული არიან იხმარონ **ბლენიოზოლი**, როგორც ერთად ერთი საშუალება გონორეი—სუსუნატისაგან გასათავისუფლებლათ. ამ საშუალებით მორჩენილი სნეულება მეორეთ აღარ განახლდება, კლინიკურ საავათმყოფოებში გამოკვლევით დამტკიცებულია, რომ ბლენიოზოლი დასაწყისშივე სპობს სუსუნატისაგან წარმომდგარ შედეგებს. რადიკალური მოქმედება ბლენიოზოლისა დამოწმებულია მრავალ კლინიკასა და საავათმყოფოებში. ბლენიოზოლი იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „საექიმო პრაქტიკულ ლაბორატორიისა" **პ. შავერზაშვილის სააფთიაქო მაღაზიაში,** გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ. ფასი ერთი კოლოფისა 3 მ. და 50 კ. სრული განთავისუფლებისათვის საჭიროა 3—5 კოლოფი. **პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.**

ბ. კოლეგოვი იტყობინება: „თქვენი პრეპარატის „ბლენიოზოლის" ხმარების შემდეგ სრულებით გავთავისუფლდი სენისაგან, რისთვისაც გულითად მადლობას გწირავთ. ყველა ჩემს ნაცნობს ვურჩევ მიმართონ ამ საშუალებას, რადგანაც ბლენიოზოლმა მომანიჭა სრული სისაღე. სხვა დანარჩენი საშუალებანი, რომელიც კი ვიხმარე, წამლობის დროს ცუდათ მოქმედებდენ და ვერც სნეულებისაგან გამათავისუფლეს.
თქვენი ერთგული **ი. ნ. კოლეგოვი.**
ტროცკისირ-დარისქ. პე ოლქი. 9 (წლიური)

ტამბა „ძმობა" პუშკინის ქ., სახლი გოკიელისა